

Darejan Menabde

დარეჯან მენაბდე

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*Georgia, Tbilisi*

*საქართველო, თბილისი*

### Publications of Ekvtime Taqaishvili in Georgian Émigré Press

#### ექვთიმე თაყაიშვილის პუბლიკაციები ქართულ ემიგრანტულ პრესაში

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10926>

Georgian scholar and public figure Ekvtime Taqaishvili was in France in 1921-1945 together with the members of the government emigrated from Georgia, where he published articles and research in magazines and newspapers abroad in the Georgian, French and English languages, Ekvtime Taqaishvili's four monographs in the Georgian language (1933-1939) were also published in Paris. The paper deals with articles of Ekvtime Taqaishvili published in the Georgian language in the émigré press (*Damoukidebeli sakartvelo, Sakartvelo, Kavkasioni, Kartlosi*) on the topics of the history, archeology and literature of Georgia. These publications are noteworthy not only for their scholarly significance, but also from the viewpoint of demonstration of the worldview values, which is one more feature for representation of the civic portrait of this great figure.

**Key words:** Ekvtime Taqaishvili, articles, émigré press

**საკვანძო სიტყვები:** ექვთიმე თაყაიშვილი, სტატიები, ემიგრანტული პრესა

ექვთიმე თაყაიშვილი (1862-1953) ცნობილ ისტორიულ გარემოებათა გამო 1921-1945 წლებში იმყოფებოდა საფრანგეთში, საქართველოდან ემიგრირებული ხელისუფლების წევრებთან ერთად. საფრანგეთში ჩასვლისთანავე, 1922 წელს, ის აირჩიეს პარიზის ნუმიზმატთა საზოგადოების წევრად, 1925 წლიდან კი – პარიზის „სააზიო საზოგადოების“ წევრად. ამასთანავე, იყო მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოების წევრი ემიგრაციაში და მის მიერვე დაარსებული „ქართული კულტურული და საარქეოლოგიო მასალების გამოცემის ფონდის“ თავმჯდომარე (1937-1939 წწ.). მიუხედავად უმნიშვნელოვანესი მისიისა, რაც ეროვნული საგანძურის დაცვასა და შენარჩუნებას გულისხმობდა, ექვთიმე თაყაიშვილი განუწყვეტლივ ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას, ეძიებდა საფრანგეთის საცავებში შემონახულ ქართულ ხელნაწერებს, ცდილობდა საქართველოში მცხოვრები კოლეგებისაგან მიეღო სამეცნიერო ლიტერატურა და ახალი მასალები თავისი ნაშრომებისათვის, აქვეყნებდა სტატიებსა და გამოკვლევებს საზღვარგარეთ გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში ქართულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, პარიზშივე დაიბეჭდა (1933-1939 წწ.) ექვთიმე თაყაიშვილის ოთხი მონოგრაფია ქართულ ენაზე.

საფრანგეთში ცხოვრებისას ექვთიმე თაყაიშვილი თანამშრომლობდა სხვადასხვა ქართულ ემიგრანტულ გამოცემებთან, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ყოველთვიური ქართულენოვანი გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ (გამოდიოდა პარიზში 1926-1939 წლებში

როგორც საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებული ფრონტის ორგანო. 1928 წლიდან გამოიცემოდა ჟურნალის სახით – შარამე, 2012, გვ. 303). საზღვარგარეთ ე. თაყაიშვილის ქართულ ენაზე გამოქვეყნებული პუბლიკაციების უმეტესი ნაწილი სწორედ „დამოუკიდებელ საქართველოშია“ დაბეჭდილი.

1935 წელს „დამოუკიდებელი საქართველოს“ 118-ე ნომერში დაიბეჭდა ე. თაყაიშვილის სტატია „ელენე თარხან-მოურავისეული ვეფხის-ტყაოსანის სურათებიანი ხელნაწერი“ (თაყაიშვილი, 1991, გვ. 91-98).<sup>\*</sup> მკვლევარმა აღწერა და შეისწავლა ძველი ქართული ლიტერატურის არაერთი ძეგლი („ვეფხისტყაოსანი“, „აბდულმესიანი“, „თამარიანი“, „ამირანდარეჯანიანი“, „როსტომიანი“, „იოსებ-ზილიხანიანი“, „ქილილა და დამანა“ და სხვ.), განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა აღწერას, შესწავლასა და პუბლიკაციას (იხ.: ბარამიძე, 1968, გვ. 7-15; ბარამიძე, 1986, გვ. 185-194; სულავა, 2014, გვ. 310-358). ემიგრაციაში მყოფი მეცნიერი ისევე ზრუნავდა „ვეფხისტყაოსნის“ გაფანტული ხელნაწერების ბედაზე, როგორც საქართველოში ყოფნისას. თავის „მოგონებებში“ მხკვანი მეცნიერი გულისტკივილით წერდა:

„საერთოდ, ერთი პირდაპირ აღმამფოთებელი თვისება სჭირდა მაშინ ზოგ ქართველს, შეგნებულებსა და თითქოს მამულიშვილებსაც კი: რაც რამ კარგი და თავმოსაწონი ნივთი ჰქონდათ, ერთთავად უცხოელებისათვის უნდოდათ ჩუქება, სამარცხვინო სიმჩატეს იჩენდნენ ხოლმე. მეტი რაღა ვთქვა, ქართველმა თავად-აზნაურობამ ასწია ერეკლე მეორის ნაქონი თოფი – ის, რომლითაც კობტა ბელადი მოკლა ასპინძის ომში – და მიართვა მეფისნაცვალს... კიდევ კარგი, რომ იმან უკანვე დაუბრუნა: „ეს თქვენთვის ძვირფასი სახსოვარია და თქვენთანვე უნდა დარჩესო!“ ან არა და ალექსანდრე ორბელიანი რომ იყო, ნამდვილად დიდი პატრიოტი, მუდამ რუსებისა და, კერძოდ, ვორონცოვის სამღურავს რომ სწერდა, იმან სწორედ ვორონცოვს აჩუქა „ვეფხისტყაოსნის“ ერთი საუკეთესო ხელნაწერი, XVII საუკუნისა... კიდევ კარგი, რომ რევოლუციის შემდეგ აღმოჩნდა ის ხელნაწერი ვორონცოვის არქივში და ისევ დაგვიბრუნდა, თორემ ხომ უნდა დაგვკარგოდა?! ვლახერნის ცნობილი ხატი იმპერატორ ალექსანდრე II-ს აჩუქეს, მაგრამ იმანაც, მეფისნაცვლისა არ იყოს, შეგნებულობა გამოიჩინა და უკან დაუბრუნა. მაგრამ ვინ იცის, რამდენი რამ იქნა ამრიგად, დაუდევრად გაბომბებული, გაყიდვაზე და გადამთიელთაგან მითვისებაზე რომ აღარაფერი ითქვას? ასე თუ არა, ჩვენი მუზეუმები ახლა ერთითად უფრო მდიდრები უნდა გვქონდეს ხელნაწერებითა და სამახსოვრო საგნებით, ხოლო უცხოეთის მუზეუმებში ქართული კულტურის ამდენი ჩვენთვის სანუკვარი ძეგლი არ უნდა იყოს მოხვედრილი!...“ (თაყაიშვილი, 1968, გვ. 313).

ასე უდგებოდა ე. თაყაიშვილი ქართულ სიმველეთა დაცვის აუცილებლობას და ყოველი ნივთისა თუ ხელნაწერის მოპოვებისთანავე საგაზეთო პუბლიკაციით ამცნობდა საზოგადოებას ამის შესახებ. „დამოუკიდებელ საქართველოში“ გამოქვეყნდა სამი სტატია, რომლებიც ქართულ ხელნაწერებს ეხება.

სტატიას „ელენე თარხან-მოურავისეული ვეფხისტყაოსანის სურათებიანი ხელნაწერი“ ავტორი იწყებს ამ და „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ხელნაწერების მოპოვების ისტორიებით:

„ბევრი საყურადღებო ხელნაწერები შევიძინეთ, როგორც არის მაგალითად ჯერჯერობით უძველესი თარიღიანი და სურათებიანი ხელნაწერი 1646 წლისა. წერეთლისეული სურათებიანი ხელნაწერი მე-XVII საუკუნ. მეორე ნახევრისა საუცხოო 87 მინიატურით, პაპუა ბებურიშვილისეული ხელნაწერი 1688 წლისა, მეფე გიორგი მე-XI-სეული ხელნაწერი 1680 წლისა, შესანიშნავი ოქროს ვარაყიანი აშიებით და სხვა მრავალნი... ჩვენ ვეძებდით და ვიმედოვნებდით მოპოვებას უძველესი ხელნაწერისა, ეს იმედი სამწუხაროდ არ გაგვიმართლდა, ჯერ ჯერობით არ მოიპოება ხელნაწერი, რომელიც მე-16 საუკუნის დასასრულის მიჯნას

<sup>\*</sup> აქ და შემდეგ ციტატებს ე. თაყაიშვილის სტატიებიდან ვიმოწმებთ წიგნიდან: თაყაიშვილი, 1991.

სცილდებოდა. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ცნობების შეკრება, თუ სად და ვის მოეპოვებოდა კიდევ ხელნაწერი ვეფხის-ტყაოსანი, არ დაგვიგდია“ (91).

სტატიაში გადმოცემულია ელენე თარხან-მოურავისეული ხელნაწერის თავგადასავალი (ამ ისტორიას ბევრად უფრო დაწვრილებით გვიამბობს ავტორი თავის „მოგონებებში“ – თაყაიშვილი, 1968, გვ. 319-323). ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას ე. თაყაიშვილმა პოლიევექტოს კარბელაშვილისაგან გაიგო, რომ ელენე თარხან-მოურავის ოჯახში ინახებოდა „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებული ხელნაწერი. ხელნაწერის საქართველოში დაბრუნების მიზნით 1912 წელს იგი ჩავიდა ყირიმში, სადაც იმხანად იალტის მახლობლად, ქუჩუქ-ლამბათში, ცხოვრობდა ელენე თარხან-მოურავი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერიცა და სხვა ისტორიული მნიშვნელობის ნივთებიც ელენე თარხან-მოურავს სევასტოპოლის ბანკში ჰქონდა შენახული. მფლობელის გარდაცვალებისა და რევოლუციის შემდეგ ხელნაწერი ჯერ სევასტოპოლის ბაზარში მოხვდა, შემდეგ – სტამბოლში... საბოლოოდ კი აღმოჩნდა ელენე თარხან-მოურავის სიძის, იოსებ დადიანის, ხელში, რომელმაც ხელმოკლეობის გამო იგი ინგლისელებს დაუთმო... მაგრამ მანამდე ე. თაყაიშვილი პარიზის მახლობლად, სევრში, შეხვდა ი. დადიანს და აღწერის მიზნით დროებით ითხოვა მისგან ეს ხელნაწერი. შეიძლება ხელნაწერმა საქართველომდის ვეღარ მოაღწიოს და ამიტომ საჭიროდ ვრაცხ, მოკლე ცნობები მოვიყვანო მის შესახებო, – წერს სტატიაში ე. თაყაიშვილი (93).

*„მას შემდეგ კარგა ხნის განმავლობაში, ოც წელიწადს იყო ჩემთან ის ხელნაწერი. რა თქმა უნდა, აღწერე, ყველა ცნობილ ხელნაწერს შევადარე, მის შესახებ მოკლე ცნობები გამოვაქვეყნე (გაზ. „[დამოუკიდებელი] საქართველო“, 1935, №118), მაგრამ გამოცემით კი, აბა, რას გამოვცემდი, სადა მქონდა ამის საშუალება?“* (თაყაიშვილი, 1968, გვ. 322).

ე. თაყაიშვილმა შეისწავლა აღნიშნული ხელნაწერი და დაგვიტოვა მისი ზუსტი აღწერილობა (ყდა, ქალაღი, მეღანი, კალიგრაფია, ილუსტრაციები...). აღწერილობის მიხედვით, „ხელნაწერი შეიცავს 176 ფურცელს... სურათებს უკავია 18 განცალკევებული ფურცელი... სურათები ჩვეულებრივით სპარსული ყაიდის არის და შესრულებულია ფერადებით“ (94). ამას მოსდევს ილუსტრაციების ჩამონათვალი და მათი აღწერა. მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერის გადამწერი უცნობია, ქალაღის, სურათებისა და კალიგრაფიის მიხედვით, მან ეს ხელნაწერი XVII ს. მეორე ნახევარს მიაკუთვნა და დაასკვნა: „საჭიროა მისი გამოყენება ვეფხის ტყაოსნის ნამდვილი ტექსტის დასადგენად“ (98). აღნიშნული ხელნაწერი ე. თაყაიშვილმა შეუდარა „ვეფხისტყაოსნის“ ს. კაკაბაძისეულ 1913 წლის გამოცემას და არაერთი საინტერესო მოსაზრება გამოთქვა. სტატიაში ამ ფაქტის შესახებ ვკითხულობთ: „როცა ს. კაკაბაძე ვეფხისტყაოსნის მეორე დიდ გამოცემას აპირებდა, ამ ხელნაწერის აღწერილობა მას მივაწოდე. ეს წიგნი მრავლის სურათებით შემკობილი გამოვიდა 1927 წელს... ხოლო სამიოდე ფოტოგრაფიული სურათი ამ ხელნაწერიდან მისი ძმის, მხატვარ დავით კაკაბაძის გადაღებული, დართული აქვს გამოცემას“ (93).

მოგვიანებით აღნიშნული ხელნაწერის აღწერილობის დედანი აღმოაჩნდა ე. თაყაიშვილის მემკვიდრეს, ლიდია პოლტორაცკაის. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ჟურნალ „მნათობის“ რედაქციას გადასცა ი. მეგრელიძემ (თაყაიშვილი, 1962, გვ. 139-142; თაყაიშვილი, 1968, გვ. 43-48). თვითონ ხელნაწერი კი ინახება ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპისეულ კოლექციაში W-27 (ლენგი, 1957, გვ. 151).

„დამოუკიდებელი საქართველოს“ 1938 წლის 144-ე ნომერში დაიბეჭდა ე. თაყაიშვილის სტატია „ჯვარის მონასტრისეული „თოვენი“ ანუ „საგალობელი“ მეთერთმეტე საუკუნისა“ (158-164).

ე. თაყაიშვილის დაკვირვებით, ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს 1056-1066 წლებში. მასში შემონახულია ორი წმინდანის – წმ. ნინოსა და წმ. აბოს – საგალობლები. ამ საგალობლებზე საგანგებოდ ჩერდება მკვლევარი. კერძოდ, აბო თბილელისადმი მიძღვნილი საგალობლის ტექსტს უდარებს პ. ინგოროყვას მიერ 1913 წელს გამოცემულ კრებულში დაბეჭდილ ტექსტს და მიუთითებს. რომ აღნიშნულ ხელნაწერში საგალობელი მოიცავს დამატებით ხუთ გვერდს, რომელიც არ არის პ. ინგოროყვასეულ გამოცემაში. წმ. ნინოსადმი მიძღვნილი საგალობლის შესახებ კი წერს, რომ „ეს საგალობელი სულ სხვაა, ვიდრე საბინინის მიერ გამოცემული საქართველოს სამო-

თ ხ ე შ ი , მაგრამ ახლოა ჩემს მიერ გამოცემულ ჰელიოპიუსულ საგალობელთან“ (163). ხელნაწერის უკანასკნელ გვერდზე შეტანილია „დასდებელნი წმიდისა გრიგოლი ღვთის მეტყველისანი“, ხშირია საგალობლების აკროსტიხებით წარმოდგენა, რასაც აწერია „აკროსტიხონნი“. საგალობელთა მეთაური ასოები ყოველთვის სინგურითაა მოცემული.

ეს მცირე მოცულობის სტატია ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ე. თაყაიშვილის მიზანი იყო არამარტო მოძიება და დაბრუნება უცხოეთში გაფანტული ქართული ხელნაწერებისა, არამედ მათი აღნუსხვა, შესწავლა და ჩართვა სამეცნიერო მიმოქცევაში.

„დამოუკიდებელ საქართველოში“ (1939 წ., №159) დაიბეჭდა ე. თაყაიშვილის სტატია კიდევ ერთი ხელნაწერის შესახებ, რომელიც მას რაჭაში ექსპედიციაში ყოფნისას მოუპოვებია. სტატიის სათაურია „მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიაზე ნიკორწმინდის ხელნაწერში“ (181-194). ე. თაყაიშვილი სამ ნაწილად ყოფს ამ ხელნაწერს და საგანგებოდ ჩერდება მათ აღწერაზე. მისი დაკვირვებით, ხელნაწერის პირველი ნაწილი – დავითნი – გადაწერილია ზოსიმე კარგარეთელის მიერ იმერეთის მეფის, გიორგი მეორის (1548-1585), დროს, 1585 წელს. მეორე ნაწილი, მართალია, სხვა ხელითაა დაწერილი და სხვა ქაღალდზე, მაგრამ ისიც იმავე იმერეთის მეფის, გიორგი მეორის, დროს უნდა იყოს დაწერილი. ასევე, ხელნაწერის მესამე ნაწილიც იმავე დროს უნდა იყოს გადაწერილი. ნიკორწმინდის ხელნაწერის აღწერილობასთან ერთად სტატიაში ავტორის არაერთი საგულისხმო მოსაზრება გვხვდება. მისი დაკვირვებით, ხელნაწერი

„გადაწერილია იმერეთში, მეფის გიორგის დროს (1548-1585), მაგრამ მეფეთა და კათალიკოზთა მოხსენებაში არც ერთი იმერეთის მეფე და აფხაზეთის კათალიკოზი არ არის მოხსენებული, არამედ საერთო საქართველოს მეფენი და საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქნი. ეს იმის მაჩვენებელია, რომ გადაწერს დედნად ასეთი ნუსხა ჰქონია ხელში და მას თვითონ არაფერი მიუმატებია. დედანი ამ ნუსხისა მაინცდამაინც ძველი არ ყოფილა“ (გვ. 184).

აღნიშნული ნაშრომი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი გამოკვლევაა და აშკარად სცილდება საგაზეთო სტატიის ფარგლებს. ალბათ ამიტომაც, მალევე, 1939 წელს, ის ცალკე წიგნად გამოიცა პარიზში, ქართულ ენაზე (თაყაიშვილი, 1939).

სამეცნიერო სტატიების გარდა, ე. თაყაიშვილი „დამოუკიდებელ საქართველოში“ აქვეყნებდა აგრეთვე აქტუალურ ინფორმაციებს, მიმართულს უშუალოდ ქართული ემიგრაციისადმი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 1936 წლის „დამოუკიდებელი საქართველოს“ 126-ე და 129-ე ნომრებში გამოქვეყნებული სტატიები. პირველი მათგანი – „ეროვნულ განძეულობის თაობაზე“ (136-139) – დაიბეჭდა აკაკი ჩხენკელთან თანაავტორობით. როგორც ცნობილია, 1921 წელს საქართველოდან გატანილი საგანძური თითქმის 25 წელი იყო საფრანგეთში. საფრანგეთის მთავრობა და ბანკი საქართველოს ელჩს, აკაკი ჩხენკელს, ფორმალურად თვლიდა ამ ნივთების განმკარგულებლად, თუმცა საელჩოს დახურვის შემდეგ გარკვეული წინააღმდეგობები წარმოიქმნა, რის გამოც საჭირო გახდა ამ ინფორმაციის გამოქვეყნება. ეს ათი პუნქტისაგან შემდგარი განაცხადი საზღვარგარეთ გატანილი სამუზეუმო საგანძურის დაცვისა და შენარჩუნების პრობლემებს ეხება. განაცხადი იტყობინებოდა:

„ამ უკანასკნელ დროს ემიგრაციაში სხვადასხვანაირი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული, ჭორი ვრცელდება საქართველოდან, ევაკუაციის დროს, უცხოეთში გამოტანილი სამუზეუმო, საეკლესიო და ისტორიულ მნიშვნელობის ნივთების შესახებ. ამიტომ საჭიროთ მიგვაჩნია განაცხადით შემდეგი:

1) არც ერთი ნივთი სამუზეუმო, საეკლესიო ან რაიმე ისტორიულ ღირებულების, საქართველოდან ევაკუაციის დროს უცხოეთში გამოტანილი, არ ყოფილა გაყიდული და არასდროს დაგირავებული;

2) ისინი საფრანგეთში ჩამოტანისთანავე, საფრანგეთის მთავრობის დახმარებით, გემიდან პირდაპირ საფრანგეთის სახელმწიფო ბანკის (Banque de France) განყოფილებაში იქმ-

ნა გადატანილი (ქ. მარსელში) და საქართველოს მთავრობის სახელზე იქმნა შესანახად მიზარებული.

3) საქართველოს მთავრობა ამ ნივთებს ყოველთვის უყურებდა, როგორც შესანახად მიზარებულ კუთვნილებას საქართველოს ეროვნულ დაწესებულებათა, რომელთა წარმომადგენელი იყო აქ, უცხოეთში, ბ. ექვთიმე თაყაიშვილი; იგი საქართველოდან გამოყვა ნივთებს, როგორც რწმუნებული მუზეუმების, საქართველოს სამღვდლოების და დამფუძნებელი კრების მიერაც ამ საგნებისთვის ყურისმგდებლად იყო გამოგზავნილი უცხოეთში...“ (გვ. 136-137).

დოკუმენტს ხელს აწერდნენ საფრანგეთში საქართველოს ყოფილი ელჩი აკ. ჩხენკელი და მუზეუმების წარმომადგენელი და სამუზეუმო განმეულობის მეთვალყურე ექ. თაყაიშვილი. ე. თაყაიშვილის მხრიდან ამ დოკუმენტის შედგენაში მონაწილეობა იყო კიდევ ერთი გამოხატულება იმ თავდაუზოგავი გარჯისა, რაც მან საგანძურის გადასარჩენად გასწია.

აქვე გავიხსენებთ ერთ ამონარიდს აკაკი შანიძის მოგონებებიდან:

„1928 წ. გიორგი ახვლედიანი და მე ვიყავით ინგლისში, ოქსფორდში... გამოვიარეთ საფრანგეთზე და პარიზის ერთ კაფეში ვნახეთ ჩვენი ძვირფასი ექვთიმე... ბატონმა ექვთიმემ გვთხოვა, როგორმე მოგვეხერხებინა სამუზეუმო ნივთების დაბრუნება საქართველოში. ჩემი მეორე სიკვდილი იქნებოდა, გვითხრა მან ცრემლებით, რომ ეს ნივთები საქართველოს არ დაუბრუნდეს“ (შანიძე, 1981, გვ. 164).

ამავე საკითხს ეხება ე. თაყაიშვილის მიერ საფრანგეთიდან 1935 წლის 9 აპრილს ვუკოლ ბერიძესთან გამოგზავნილი წერილიც:

„...ნივთები უპატრონოდ არის გამოცხადებული. მე აღარა მაქვს საშუალება და უფლება ნივთების დაცვას და ჯეროვნად შენახვას მეთვალყურეობა გაუწიო... ნებაც რომ მქონდეს, ძლივს დავდივარ, დღეს ვარ, ხვალ აღარ ვიქნები და ჩემთვის მეორე სიკვდილი იქნება, თუ ის ნივთები ან მისი ნაწილი დაგვეკარგება!.. ვერ დავმშვიდდები, მანამ ის ნივთები საქართველოს არ დაუბრუნდება... და მუზეუმებს არ ჩაბარდება...“ (კობრიძე, 2024, გვ. 24-25).

ეს ნივთები საქართველოს რომ არ დაუბრუნდეს, ჩემი მეორე სიკვდილი იქნებოდა, – აცხადებდა ექვთიმე თაყაიშვილი. მეცნიერის დიდი ხნის ნატვრა ასრულდა 1945 წლის 11 აპრილს, როდესაც სამუზეუმო განმეულობა საქართველოს დაუბრუნდა.

ემიგრაციისადმი მიმართული მეორე სტატია – „მიმართვა ქართველ ემიგრაციისადმი“ (140-143) განსაკუთრებული ტექსტია. ეს არის ე. თაყაიშვილის დიდი პატრიოტიზმის, სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების გამოხატულება. მიმართავს რა ქართველ ემიგრანტებს, ავტორი არსებითად მიზნად ისახავს, შეახსენოს მათ საქართველოს სულიერი კულტურა და თავიანთი ვალდებულებები სამშობლოს წინაშე. წერილის მკაცრი და დამაჯერებელი ტონი მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს:

„გულგრილობამ დიდძალი პირველ ხარისხოვანი ძეგლები დაგვიკარგა. რაც მამებს თავიანთ ძველ ოჯახებში დაგროვილი ჰქონდათ, შვილებმა დაკარგეს... იშვიათია პატარა ერი, რომელსაც ასეთი მდიდარი ძველი კულტურა ჰქონდეს, ამ კულტურამ გადაარჩინა ქართველი ერი მოსპობას ჟამთა ვითარების აბოზოქრებული ქარტეხილისაგან, მისცა უნარი სიმტკიცისა, გამძლეობისა და ყოველი ჭირის გადატანისა. ვინც ამ კულტურას ასე თუ ისე არ იცნობს, ის არასოდეს არ იქნება ნამდვილი ქართველი, ჭეშმარიტად ქართული სულის მატარებელი, მას გადაგვარება მოეღოს, თუ უკვე გადაგვარებული არ არის. ამიტომ ყველა მოვალე ვართ, ხელი შევეუწყოთ ჩვენი კულტურის საფუძვლიანად შესწავლას, რაც პირველ რიგში უნდა გამოიხატოს საკულტურო მასალების შეკრებაში და უკვე შეკრებილის გამოქვეყნებაში, უამისოდ ჩვენ ვერ აღვადგენთ ჩვენი კულტურის ნამდვილ სახეს და ვერ

შევიგნებთ მის ცხოველმყოფელს ძალას, რომელიც იხატებოდა პირველყოვლისა მდიდარი ქართული ენის განვითარებაში, სასულიერო და საერო ლიტერატურაში, პოეზიაში, ფილოლოფიაში, ხუროთმოძღვრებაში და სხვა ყველა ხელოვნების დარგში“ (გვ. 140-141).

მიმართვაში ხაზგასმულია ქართული სულიერი კულტურის გადარჩენაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საეკლესიო მუზეუმის, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და ქართული უნივერსიტეტის როლი და მნიშვნელობა. განსაკუთრებით ემოციურია სტატიის ის მონაკვეთი, რომლიდანაც ჩანს, რომ ე. თაყაიშვილი იძულებულია თავისი გამოუცემელი ნაშრომებისათვის თანხის შეგროვება ითხოვოს:

„ახლო ხანში 50 წელი შესრულდება, რაც მე ამ საპედაგოგიო დარგში და ამ დარგში დავიწყე მუშაობა. ამის გამო ზოგმა ჩემმა ყოფილმა შევირდებმა მომმართეს წინადადებით იუბილეს მოწყობისა, რაზედაც, რა თქმა უნდა, უარი განვაცხადე, პირველად იმიტომ, რომ საიუბილეო არაფერი გამიკეთებია, მე მხოლოდ ჩემ ქართულ მოვალეობას ვასრულებდი, მეორედ იმიტომ, რომ კიდევაც ღირსი ვიყო იუბილესი, ჩვენს პირობებში, ემიგრაციაში, იუბილე ვის გაუგონია! არ ეგების! იუბილეზედ მეტად ჩავთვლი და უფრო სასარგებლოც იქნება, თუ ამ გამოცემათა საშუალებას მომიხერხებენ... ერთი ნაწილი მასალებისა თანა მაცხს და გამოუცემელი რჩება, საქმე კი საშურია: დრო მიდის, მე მივიწურე აღსასრულისაკენ „ადამის ტომთა წესითა“, და ჩემს შემდეგ ამ მასალას თავს ვერავინ გაართმევს... ამიტომ გავკადნიერდები, ვინაიდან ეს საზოგადო ქართული საკულტურო საქმეა, და მივმართავ ყველა საზღვარს გარეთ მყოფ ქართველ ორგანიზაციას და თვითეულ საზღვარს გარეთ მყოფ ქართველს განურჩევლად პარტიისა, კეთილ ინებონ და ვისაც რა შეუძლია, რამდენიც შეუძლია, დაგვეხმარონ ამ საქმეში. ვისაც ეხერხება, ერთდროული თანხა მოგვაწოდოს, ვისაც ეს არ ეხერხება, თვითრად ერთი წლის განმავლობაში ათ-ათი ფრანკი შემოიტანოს, უფრო ხელმოკლეთ შეუძლიათ თვითრად ხუთ-ხუთი ფრანკი გადადონ, რასაკვირველია, ვინც უმუშევარია, მათ ეს მიმართვა არ ეხება. ნუ ვინ დამწამებს, თითქო მე ჩვენი ემიგრაციის სიღარიბე არ ვიცოდე. არა, ძლიერ კარგად ვიცი, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, ჩვენში საზოგადო საქმე, თუ რამე გაკეთებულა, ისევ ღარიბი ქართველის ჯიბით და მისი ინტელიგენციის წყალობით... ეს არის პირველი და უკანასკნელი ჩემი თხოვნა ქართველი ემიგრაციისადმი. ვინც პატივს დაგვდებს და დაგვეხმარება ამ საქმეში, მათ ვთხოვ წინდაწინვე მიიღონ ჩემი უღრმესი მადლობა და თანაგრძნობა.

პატივისცემით ექვთიმე თაყაიშვილი  
25 ნოემბერი, 1936 წ.“ (141-143).

ექვთიმე თაყაიშვილის მიმართვას ქართველი ემიგრაციისადმი უშედეგოდ არ ჩაუვლია. სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტულმა ქართველმა ემიგრანტებმა თანადგომა გამოუცხადეს ეროვნულ საქმეს და, ვისაც როგორ შეეძლო, მხარში ამოუდგა დიდ მეცნიერს. მაშინ ე. თაყაიშვილმა „დამოუკიდებელი საქართველოს“ გამომცემლობაში გაგზავნა „წერილი რედაქციის მიმართ“: „მე მოკლებული ვარ საშუალებას ყველას ცალკე წერილით მადლობა გადავუხადო და პასუხი გავსცე, ამიტომ ვსარგებლობ თქვენის გაზეთით და უღრმეს მადლობას ვუცხადებ ყველას, ვინც თავისი წვლილი მოგვაწოდა და ვინც დაგვიპირდა მოწოდებას თვითრად თუ ერთდროულად“ (გვ. 144).

„წერილი რედაქციის მიმართ“ დაიბეჭდა „დამოუკიდებელი საქართველოს“ 1937 წლის 134-ე ნომერში. სულ მოკლე ხანში, გაზეთის 137-ე ნომრიდან 1937 წლის #159-ის ჩათვლით ხუთჯერ გამოქვეყნდა „ანგარიში (ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების ფონდისა)“. იბეჭდებოდა შემომწირველთა სიები და თანხის რაოდენობა. ე. თაყაიშვილი იქვე მიუთითებდა, რომ საბოლოო გამოცემასაც დართული ექნებოდა სრული ანგარიში და შემომწირველთა სია. შემომწირველთა შორის იყვნენ როგორც კერძო პირები (თანხას სწირავდნენ მართლაც 5-10 ფრანკიდან 500 და მეტ ფრანკამდე...), ისე მთელი ოჯახები (ივ. ზურაბიშვილი, ვ. დამბაშიძე, გ. ჟურული, ს. კედია და სხვ.). შემომწირულებები მოდიოდა არა მხოლოდ ევროპიდან, არამედ, ამერიკიდან და ირანიდან-

ნაც კი. შთამბეჭდავია ამ შემოწირულებათა გეოგრაფია: ვარშავის ქართველთა ასოციაციისაგან, პოლონეთში მყოფი ქართველი ოფიცრებისაგან, პრადში მცხოვრები ქართველებისაგან, ბრიუსელში მყოფი ქართველებისაგან, პარიზის ქალთა კომიტეტისაგან, ბელგიაში მყოფი ქართველებისაგან, პარიზის „ქართული კერისაგან“, პარიზის ცენტრისაგან, სოშოს ქართველი მუშებისაგან, ლიონის ქართველთა კოლონიისაგან, ოსლოში მცხოვრები ქართველებისაგან, ჟურნალ „სამშობლოს“ რედაქციისაგან, ნიუ-იორკის ქართველთა საზოგადოებისაგან, ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების ახლად დაარსებული „ქართული საზოგადოებისაგან“, თეირანის ქართველებისაგან...

„ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების ფონდის“ თანადგომით საფრანგეთში, პარიზში, შესაძლებელი გახდა ქართულ ენაზე ექვთიმე თაყაიშვილის სამი წიგნის დაბეჭდვა,<sup>\*</sup> რომლებიც უსახსრობის გამო წლების განმავლობაში ელოდა გამოცემას:

1937 წელს დაიბეჭდა დიდი ხნით ადრე მომზადებული წიგნი „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“ (თაყაიშვილი, 1937); 1938 წელს – „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს“ (თაყაიშვილი, 1938); 1939 წელს – „მეფეთა და კათალიკოსთა სულთა მატთანე ნიკორწმინდის ხელნაწერში“ (თაყაიშვილი, 1939).

1927-1938 წწ. „დამოუკიდებელ საქართველოში“ გამოქვეყნდა ექვთიმე თაყაიშვილის რამდენიმე გამოსათხოვარი წერილი პეტრე მელიქიშვილის, პავლე თუმანიშვილის, ნიკო მარის,<sup>\*\*</sup> იური მარის, იოსებ დადიანისა და კოლია თაყაიშვილის გარდაცვალების გამო.

ექვთიმე თაყაიშვილის სტატიები დაიბეჭდა აგრეთვე პარიზში გამომავალ ქართულ ჟურნალებში: „კავკასიონი“ (პარიზი), „ქართლოსი“ (პარიზი) და „საქართველო“ (ბერლინი).

ჟურნალი „კავკასიონი“, ქართველ სტუდენტთა ეროვნული გაერთიანებისა და ქართველ მწერალთა ერთობლივი გამოცემა, 1929-1986 წწ. გამოდიოდა პარიზში. ე. თაყაიშვილი ვ. ნოზაძესთან, შ. ამირეჯიბთან, ს. ბერეჟიანთან და სხვებთან ერთად თანამშრომლობდა ამ ჟურნალში, რომელშიც იბეჭდებოდა სტატიები საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურისა და სხვ. თემებზე (დოლიძე, 2018, გვ. 447).

ე. თაყაიშვილმა 1929 წელს „კავკასიონში“ გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი სამეცნიერო ნაშრომის, „სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები“, პირველი ნაწილი (24-51). როგორც სტატიის დასაწყისშივეა აღნიშნული, ნაშრომში მოყვანილი წარწერები შეკრებილია 1894-1900 წლებში.

„XIX საუკუნის ბოლოსათვის, როდესაც ე. თაყაიშვილი სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა, ეპიგრაფიკული ძეგლები ჩვენში ჯეროვნად აღრიცხული და ფიქსირებულიც კი არ იყო, აღარავინ ზრუნავდა მათ დაცვა-შენახვასა და მეცნიერულ შესწავლაზე... [ამ საქმეს] შესწირა ექვთ. თაყაიშვილმა თავისი დაუშრეტელი ენერგია და დიდი ცოდნა. ეს იყო მის მიერ თავიდან დასახული ერთ-ერთი მთავარი მიზანი, მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება“ (გრიგოლია, 1966, გვ. 90).

სტატიაში შესწავლილია ფიტარეთის, ტანძის, თევდორ-წმინდანის (თევდორეწმინდის) სოფლის ეკლესიის, ხატის-სოფლის ეკლესიის, წულრულაშენისა და დმანისის ეკლესიათა, ფიტარეთისა და დმანისის ეკლესიების საფლავის ქვათა წარწერები. ნაშრომში განხილულია აგრეთვე „ტანძის ეკლესიის სვინაქსარი“ და „ჟამ-გულანი ვახტანგ ორბელის ბრძანებით გადაწერილი“.

\* 1933 წელს პარიზში დაიბეჭდა ე. თაყაიშვილის წიგნი „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუხი“, რომლის გამოცემა მისი ყოფილი მოწაფის, არჩილ მეტრეველის, ხარჯით განხორციელდა (თაყაიშვილი, 1933).

\*\* ე. თაყაიშვილის სტატიის „აკადემიკოსი ნიკო იაკობის ძე მარრი (სამეცნიერო მუშაობა და ღვაწლი)“ ბეჭდვა დაიწყო პარიზში გამომავალ გაზეთ „საქართველოში“ (1935, №7) და გაგრძელდა ნ. მარის გარდაცვალების შემდეგაც გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში“ (1936, №№123, 124).

ე. თაყაიშვილს კარგად ესმოდა ამ ისტორიული წარწერების მნიშვნელობა და აცხადებდა: „ჩვენ გვწამს, რომ ყოველი წარწერა სხვების წასაკითხავად არის დაწერილი და ოდესმე წაუკითხავი და გაუგებარი არაფერი არ დარჩება“ (გრიგოლია, 1966, გვ. 96).\*

სტატია „სამუსულმანო საქართველო“ (გვ. 197-227) დაიბეჭდა პარიზში, ჟურნალ „ქართლოს-ში“, 1939 წელს (№№19-23). ავტორი მკითხველს უამბობს ჭოროხის აუზის სამი დიდი მხარის: კლარჯეთის, ტაოსა და ისპირის ისტორიას, აცნობს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას, ტრადიციებს... ვრცლად ჩერდება ტაო-კლარჯეთში ბაგრატიონთა დამკვიდრებაზე, აშოტ კურაპალატი-სა და გრიგოლ ხანძთელის მიერ წამოწყებულ დიდ ეროვნულ მოძრაობაზე, ეკლესია-მონასტრებისა და ციხე-ქალაქების მშენებლობაზე, ქართული ხუროთმოძღვრების არაერთი ძეგლის მდგომარეობაზე, ამ მხარის სოფლებში ქართული ენის შენარჩუნებაზე, მოსახლეობის რელიგიურ მესიერებაზე და ა. შ.

დ. მუსხელიშვილის შეფასებით, ეს მრავალმხრივ საინტერესო ნაშრომი „არსებითია მხარის ისტორიული გეოგრაფიის აღსადგენად და მის შესასწავლად... [ე. თაყაიშვილი] მატერიალური კულტურის ძეგლებს უყურებდა არა მხოლოდ მათი თავისთავადი კულტურული ფასეულობის თვალსაზრისით, არამედ, აგრეთვე, როგორც ფაქტიურ ისტორიულ წყაროს, რომელსაც შეუძლია შეუძმდარი წარმოდგენა მოგვცეს ამა თუ იმ მხარის მდგომარეობის შესახებ გარკვეულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში“ (მუსხელიშვილი, 1966, გვ. 171-174).

პარიზში გამომავალ გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილის სტატია „ქართული სიძველენი ევროპელ ანტიქვარებთან“ (გვ. 73-84). მისი სიტყვით, „გადატაკებულმან და გაჭირვებულმან ემიგრანტებმა გამოიტანეს ბაზარზე გასასყიდად რის წამოღება და გადარჩენაც მოასწრეს... რასაკვირველია, ამ დარგში ქართული სიძველენიც უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ჩვენ ჯერ ამის რეგისტრაცია არა გვაქვს“ (გვ. 73). სტატიაში მოცემულია აღწერილობა იმ ნივთებისა, რომლებიც ე. თაყაიშვილს პირადად უნახავს საფრანგეთში: 1. ხატი ღვთისმშობლისა მინანქრიანი ქართულ-სპარსული რიგისა ბატონიშვილის ასულის ხვარამზისა; 2. სახარება გიორგი მეთერთმეტის მდივნის კვინიხიძისა; 3. ჯვარი ათონურის რიგისა, მაგრამ ქართული ხელობისა; 4. ბრიტანეთის მუზეუმის მიერ შეძენილი ქართული სანაწილე; 5. ლექსიკონი საბა-სულხან ორბელიანისა; 6. პატარა გულსაკიდი ხატი ღვთისმშობლისა ნაწილებიანი, ოქროსი, ჩვილედი; 7. სახარება კათალიკოზ დომენტი მესამისა. ჩანს, ამ ნივთების ნაწილი ე. თაყაიშვილს ადრევე ჰქონია ნანახიცა და აღწერილიც, ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას, მაგრამ ახლა მათი დაბრუნება უკვე შეუძლებელი იყო.

ბერლინში გამომავალ ჟურნალ „საქართველოს“ 1944 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა ე. თაყაიშვილის ნაშრომები: „გიორგი მეფის ერთი ფულის შესახებ“ და „ოსებისადმი ბომბეული ექვსი სიგელი“. პირველ სტატიაში (გვ. 228-229) ავტორი აღნიშნავს, რომ ქართულ ნუმიზმატიკას ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვს: არ არის აღმოჩენილი და შესწავლილი მეფეთა მონეტები, მათზე დართული წარწერები და გამოსახულებები. შემდეგ იგი ეხება ვერცხლის მონეტას, რომელიც მას იმერეთში, კაცხის მონასტერში, უპოვია. იქვე დაბეჭდილია მონეტის ფოტოებიც. იკითხება წარწერა: „მეფე გი“. ავტორის ვარაუდით, ეს უნდა იყოს გიორგი მეცხრისდროინდელი (მეფობდა 1446-1476 წწ.) მონეტა. მეორე სტატია – „ოსებისადმი ბომბეული ექვსი სიგელი“ (გვ. 230-235) ეხება ე. წ. ჯამაგირის წიგნებს, რომლებსაც ქართველი მეფე-ბატონიშვილები ჩრდილოკავკასიელ მოსახლეობას გადასცემდნენ. ყურადღებას იქცევს ნაშრომის შესავალი, რომელიც საკმაოდ ინფორმაციულია:

„საქართველოს მეფენი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ დარიალის ხეობის და საზოგადოდ ეგრეთწოდებული საქართველოს სამხედრო გზის დაცვას. ამ მიზნით ისინი სცდილობდნენ კეთილგანწყობილება ჰქონოდათ ოსებთან, ქისტებთან და ყველა მთიელ ტომთან. ზოგი მათგანი, უფრო წარჩინებული და გავლენიანი პირი, მეფის სამსახურში ირიცხებოდა და სიგელით განსაზღვრულ ჯამაგირს იღებდა მეფის ხაზინიდან. დიდ დახმარებას

\* „სომხით-საორბელის ძეგლების წარწერების“ მეორე ნაწილი კარგა ხნის შემდეგ, 1951 წელს, დაიბეჭდა თსუ-ს შრომების 43-ე ტომში.

უწევდნენ კავკასიის მთიელნი ალექსანდრე ბატონიშვილს და მის ძმებს რუსებთან ხანგრძლივ, თავგანწირულ ბრძოლაში. ბატონიშვილებს, რასაკვირველია, ჯამაგირის გაღება არ შეეძლოთ, სამაგიეროდ, სიგელებს აძლევდნენ და ჰპირდებოდნენ სამსახურის ანაზღაურებას, ძმობას და მეგობრობას, როდესაც რუსებს გარეკავდნენ კავკასიიდან და ბაგრატიონთა ტახტს აღადგენდნენ. პატრონები დღემდისაც კრძალვით ინახავენ სიგელებს, დედნებს არ ელევინან. მათ სწამთ – ბაგრატიონები კვლავ აღადგენენ საქართველოს და მათი სიგელებიც განაღდდება“ (230). ექვსი ე. წ. ჯამაგირის სიგელიდან პირველი გაცემულია მეფე ერეკლე მეორის, მეორე და მესამე – მეფე გიორგი მეცამეტის, მეოთხე – ბატონიშვილ ფარნავაზის, ხოლო მეხუთე და მეექვსე – ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ. ე. თაყაიშვილის შეფასებით, „სამი უკანასკნელი წერილი მეტად საინტერესოა, მათში აშკარად გამოსჭვივის ბატონიშვილთა სრული რწმენა რუსებზე გამარჯვებისა, ამისთვის საჭირო იყო, პირველ ყოვლისა, მთიელთა ძალების გაერთიანება და საერთო ბრძოლა“ (გვ. 231).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ე. თაყაიშვილმა საზღვარგარეთულ პრესაში გამოაქვეყნა სტატიები ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. 1927-1938 წწ. მისი სტატიები დაიბეჭდა პარიზის, ბრიუსელისა და ლონდონის სამეცნიერო გამოცემებში [ფრანგულ ენაზე – „ჟურნალ აზიატიკ“, პარიზი, 1927; „პრომეთე“, პარიზი, 1928; „რევიუ დე ლორიენ შრეტიენ“, პარიზი, 1935-1936; „ბიზანტიონი“, ბრიუსელი, 1935; 1937; ინგლისურ ენაზე – „გეორგიკა“, ლონდონი, 1935-1937 წწ. (ხუთი სტატია)] (იხ. ლაბაძე, 2014, გვ. 502-516).

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ საფრანგეთის ქართულენოვან პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები საყურადღებოა არამარტო თავისი სამეცნიერო მნიშვნელობით, არამედ იმ მსოფლმხედველობითი ღირებულებების წარმოჩენის თვალსაზრისითაც, რაც კიდევ ერთი შტრიხია ამ დიდი მოღვაწის მოქალაქეობრივი პორტრეტის შესაქმნელად.

#### დამოწმებანი:

- ბარამიძე, ალ. (1968). ექვთიმე თაყაიშვილი – ქართული მწერლობის მკვლევარი. თაყაიშვილი ე. რჩეული ნაშრომები. გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილები დაურთეს ალ. ბარამიძემ და გ. ლომთათიძემ. ტ. 1. თბილისი: „მეცნიერება“.
- ბარამიძე, ალ. (1986). ექვთიმე თაყაიშვილი. კრბ. „ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი“. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- გრიგოლია, კ. (1966). ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ეპიგრაფიკა. აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა). სტატიების კრებული. თბილისი: „მეცნიერება“.
- დოლიძე, თ. (2018) „კავკასიონი“. ენციკლოპედია – „საქართველო“. ტ. 4. თბილისი: ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია.
- თაყაიშვილი, ექ. (1933). პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუხი. პარიზი.
- თაყაიშვილი ექ. (1937). არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი.
- თაყაიშვილი, ექ. (1938). არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს. პარიზი.
- თაყაიშვილი, ექ. (1939). მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატთანე ნიკორწმინდის ხელნაწერში. პარიზი.
- თაყაიშვილი, ე. (1962). ელენე თარხან-მოურავისეული ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი. დასაბეჭდად მოამზადა ი. მეგრელიძემ. „მნათობი“, 1962, 2.
- თაყაიშვილი, ე. (1968). რჩეული ნაშრომები. გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილები დაურთეს ალ. ბარამიძემ და გ. ლომთათიძემ. ტ. 1. თბილისი: „მეცნიერება“.
- თაყაიშვილი, ე. (1991). ემიგრანტული ნაშრომები. დაბრუნება (სერია – „ქართული ემიგრანტული ლიტერატურა“. გ. შარაძის საერთო რედაქციით). ტ. 1 (შემდგენელი გ. შარაძე). თბილისი: „მეცნიერება“.
- კობრიძე, ა. (2024). ექვთიმე თაყაიშვილი (საარქივო მასალები). თბილისი: „არტანუჯი“.
- ლაბაძე, რ. (2014). ექვთიმე თაყაიშვილის პუბლიკაციები უცხოურ სამეცნიერო გამოცემებში (1927-1938 წწ.). კრბ. „დიდი ექვთიმე“. თბილისი: „არტანუჯი“.
- ლენგი, დ. მ. (1957). ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ლონდონში. „ცისკარი“. 1957. #4.

- მუსხელიშვილი, დ. (1966). ექვთიმე თაყაიშვილი და ისტორიული გეოგრაფია. აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა). სტატიების კრებული. თბილისი: „მეცნიერება“.
- სულავა, ნ. (2014). ექვთიმე თაყაიშვილი – ქართული მწერლობის მკვლევარი. კრბ. „დიდი ექვთიმე“. თბილისი: „არტანუჯი“.
- შანიძე, ა. (1981). ექვთიმე თაყაიშვილი. „მნათობი“. 1981, #12.
- შარაძე, გ. (2012). „დამოუკიდებელი საქართველო“. ენციკლოპედია – „საქართველო“. ტ. 2. თბილისი: ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია.

#### References:

- Baramidze, Al. (1968). Ekvtime Taq'aishvili – kartuli mts'erlobis mk'vlevari. Taq'aishvili E. Rcheuli nashromebi. Gamosatsemad moamzades da shesavali ts'erilebi daurtas Al. Baramidzem da G. Lomtadidzem. T'. 1. [Ekvtime Takaishvili – Researcher of Georgian Writing. Takaishvili E. Selected Works. Prepared for publication and supplemented with introductory letters by Al. Baramidze and G. Lomtadidze. Vol. 1]. Tbilisi: „metsniereba“.
- Baramidze, Al. (1986). Ekvtime Taq'aishvili. K'rb. „Dzveli kartuli mts'erlobis mk'vlevarni“. [Ekvtime Takaishvili. // In “Researchers of Ancient Georgian Writing”]. Tbilisi: tsu gamomtsemloba.
- Grigolia, K'. (1966). Ekvtime Taq'aishvili da kartuli ep'igrapi'a. Ak'ademik'osi Ekvtime Taq'aishvili (tskhovreba da moghvats'eoba). St'at'iebis k'rebuli. [Ekvtime Takaishvili and Georgian Epigraphy. Academician Ekvtime Takaishvili (Life and Work). Collection of Articles]. Tbilisi: „metsniereba“.
- Dolidze, T. (2018). „K'avk'asioni“. // Entsik'lop'edia – „sakartvelo“. T'. 4. [“Caucasus”. Encyclopedia – “Georgia”. Vol. 4]. Tbilisi: kartuli entsik'lop'ediis mtavari sametsniereba redaktsia.
- Taq'aishvili, E. (1933). P'arizis natsionaluri bibliotek'is kartuli khelnats'erebi da otsi kartuli saidumlo damts'erlobis nishani. [Georgian Manuscripts of the National Library of Paris and Twenty Signs of the Georgian Secret Writing System]. P'arizi.
- Taq'aishvili E. (1937). Arkeologiuri eksp'editsia Lechkhum-Svanetsi 1910 ts'els. [Archaeological Expedition in Lechkhumi-Svaneti in 1910]. P'arizi.
- Taq'aishvili E. (1938). Arkeologiuri eksp'editsia K'ola-Oltisshi da Changlshi 1907 ts'els. [Archaeological Expedition in Kola-Oltisi and Changli in 1907]. P'arizi.
- Taq'aishvili E. (1939). Mepeta da k'atalik'ozta sulta mat'iane nik'orts'mindis khelnats'ershi. [Chronicles of Kings and Catholicos Souls in the Nikortsminda Manuscript]. P'arizi.
- Taq'aishvili E. (1962). Elene Tarkhan-Mouraviseuli khelnats'eri vepkhist'q'aosani. Dasabech'dad moamzadali. Megrelidzem. [The Elene Tarkhan-Mouravi manuscript The Knight in the Leopard's Skin. Prepared for printing by I. Megrelidze]. „Mnatobi“, 2.
- Taq'aishvili E. (1968). Rcheuli nashromebi. Gamosatsemad moamzades da shesavali ts'erilebi daurtas Al. Baramidzem da G. Lomtadidzem. T'. 1. [Selected works. Prepared for publication and supplemented with introductory letters by Al. Baramidze and G. Lomtadidze. Vol. 1]. Tbilisi: „metsniereba“.
- Taq'aishvili E. (1991). Emigrant'uli nashromebi. Dabruneba (seria – „kartuli emigrant'uli lit'erat'ura“. G. Sharadzis saerto redaktsiit). T'. 1 (shemngeneli G. Sharadze). [Emigrant works. Return (Series – “Georgian Emigrant Literature”). General editor G. Sharadze). Vol. 1 (compiled by G. Sharadze)]. Tbilisi: „metsniereba“.
- K'okhredze, a. (2024). Ekvtime Taq'aishvili (saarkivo masalebi). [Ekvtime Takaishvili (archival materials)]. Tbilisi: „art'anuji“.
- Labadze, r. (2014). Ekvtime Taq'aishvilis p'ublik'atsiebi utskhour sametsniere gamotsemeshi (1927-1938 ts'ts'). K'rb. „didi ekvtime“. [Publications of Ekvtime Takaishvili in foreign scientific publications (1927-1938). In “Didi Ekvtime”]. Tbilisi: „art'anuji“.
- Lengi, D. M. (1957). Kartvelologiuri k'vleva-dzieba londonshi. [Kartvelological research-search in London]. „Tsisk'ari“. 4.
- Muskhelishvili, D. (1966). Ekvtime Taq'aishvili da ist'oriuli geografia. Ak'ademik'osi Ekvtime Taq'aishvili (tskhovreba da moghvats'eoba). St'at'iebis k'rebuli. [Ekvtime Takaishvili and historical geography. Academician Ekvtime Takaishvili (life and work). Collection of articles]. Tbilisi: „metsniereba“.
- Sulava, N. (2014). Ekvtime Taq'aishvili – kartuli mts'erlobis mk'vlevari. K'rb. „Didi ekvtime“. [Ekvtime Takaishvili – researcher of Georgian writing. Krb. “Didi Ekvtime”]. Tbilisi: „art'anuji“.
- Shanidze, A. (1981). Ekvtime Taq'aishvili. [Ekvtime Takaishvili]. „Mnatobi“. 12.
- Sharadze, G. (2012). „Damouk'idebeli sakartvelo“. Entsik'lop'edia – „sakartvelo“. T'. 2. [“Independent Georgia”. Encyclopedia – “Georgia”. Vol. 2]. Tbilisi: kartuli entsik'lop'ediis mtavari sametsniereba redaktsia.